უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№3 2011

გზა უმაღლეს სასწავლებლამდე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისიტეტის აბიტურიენტთა მოსამაზადებელი განყოფილება, რომელიც წლების წინ შეიქმნა, მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს საინტერესო მომსახურებას სთავაზობს: თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები სკოლის მოსწავლეებს საატესტატო გამოცდების ჩაბარებისთვის მოამზადებენ, აბიტურიენტებს – ეროვნული, ხოლო ბაკალავრებს – მაგისტრატურის გამოცდებისთვის. მაგისტრატურის მსურველებისთვის მეცადინეობა შარშან დაიწყო, ხოლო საატესტატო გამოცდებისთვის მომზადება მოსწავლეებისთვის სრული სიახლეა და სექტემბრიდან დაიწყება.

გვ. 3

ალპინიადის სათავეებთან

თსუ-ის პროფესორ შოთა მირიანაშვილს თავისი მოღვაწეობის მანძილზე 15 000 სტუდენტი ჰყავს სხვადასხვა მწვერვალზე აყვანილი. ამბობს, რომ ეს ჯერ კიდევ არ არის დასასრული. 80 წელს გადაცილებული პროფესორი, ახალგაზრდული ენერგიით და ენთუზიაზმით, სამომავლო გეგმებზე საუბრობს.

გვ. 3

სტუდენტი-პროფესორი ამერიკიდან

დღეს 66 წლის პროფესორი როლანდ მანგუმი თსუ-ის „სტუდენტია“. უფრო ზუსტად – მანგუმი თსუ-ის დოქტორანტურაში სწავლობს. პარალელურად კი თსუ-ის სტუდენტებსაც ასწავლის. ამერიკელი პროფესორის ქართული ისტორია.

გვ. 4

10 ქვეყნის „ერთა ხმა“ საქართველოში

აგვისტოში საქართველოს 3 ქალაქში მსოფლიოს 10 ქვეყნის „ერთა ხმა“ ისმოდა. ხელოვნებისა და ფოლკლორის საერთაშორისო სტუდენტური ფესტივალი ასეთი სახელწოდებით თსუ-ის ორგანიზებით გაიმართა. 28 ივლისიდან 3 აგვისტომდე საქართველოს სამ ქალაქში – ბათუმში, ზუგდიდსა და ქუთაისში საკუთარი ერისა და კულტურის წარმოჩენას ქართული და უცხოური ახალგაზრდული ფოლკლორული ჯგუფების 300-მდე წარმომადგენელი ცდილობდა.

გვ. 4

გამოშვება 2011

„დღევანდელმა დღემ ძალიან კარგად ჩაიარა. ნამდვილად კარგად ორგანიზებული იყო ყველაფერი – მით უმეტეს ასეთ მცირე დროში. ვითომ ჩვეულებრივი ცერემონია იყო, მაგრამ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი. მე პირადად მთელი ცხოვრება დამამახსოვრდება ეს დღე... :)“ – ეს პოსტი „ფეისბუკის“ გვერდზე სახელწოდებით „მოვითხოვთ თსუ-ში კურსდამთავრების ნორმალურად აღნიშვნას“ 30 ივლისს დაიდო.

მანამდე, სწორედ 30 ივლისს, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ პირველად გამართულ გამოშვების ცერემონიაზე რექტორმა მადლობა აქტიურობისთვის თავად ამ გვერდის ავტორებს გადაუხადა.

გვერდი „ფეისბუკში“ 27 ივნისს შეიქმნა და სულ რამდენიმე დღეში 416 „მომწონებელი“ შეიძინა. ავტორებთან – თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებთან დიალოგში თსუ-ის რექტორი ამ გვერდზევე შევიდა და უკვე დაგეგმილი ღონისძიების შესახებ ინფორმაციაც აქვე ამცნო.

30 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011 წლის კურსდამთავრებულების გამოშვების საზეიმო ღონისძიება გაიმართა – პირველად თსუ-ის ისტორიაში ცერემონიაში მონაწილეობა ყველა ფაკულტეტმა ერთად მიიღო.

გაგრძელება მე-2 გვ.

უნივერსიტეტის ისტორიული შენობის რეაბილიტაცია – დასრულების ეტაპზე

ილია ჭავჭავაძის გამზირის პირველ ნომერში აღმართულ თეთრ შენობას საქართველოში თითქმის ყველა ცნობს – არაერთი თაობისთვის ეს შენობა და მისი ეზო სტუდენტურ მოგონებებთან, ახალგაზრდულ იმედებთან, ბევრ საქვეყნო მოვლენასთან, სწავლასთან ასოცირდება. სულ მალე განახლებული შენობა უნივერსიტეტელთა ახალ თაობებს გაუღებს კარს. 21-ე საუკუნის მოთხოვნები და ისტორია, რომელიც თსუ-ს ყველა სხვა უმაღლესი სასწავლებლისგან გამოარჩევს, ამ შენობაში ერთმანეთში შეერწყმება. განახლებული პირველი კორპუსი, აქ მოღვაწე სტუდენტებსა თუ პროფესორ-მასწავლებლებს, მოწიწების ნაცნობ გრძნობასთან ერთად, კომფორტის შეგრძნებასაც გაუჩენს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი შენობა, თავდაპირველად, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიისთვის აიგო. მე-19 საუკუნის ბოლოს დაარსებულ პირველ ქართულ სკოლას საკუთარი შენობა არ ჰქონდა. ამიტომ, იმ პერიოდის საზოგადო მოღვაწემ ნიკო ცხვედაძემ „ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებაში“ ქართული გიმნაზიისთვის საკუთარი შენობის აგების საკითხი წამოჭრა.

1899 წლის პირველ ნომერში ჟურნალი „მოამბე“ წერდა: „1898 წელს ქალაქის განაპირას, ვერაზე, ვარაზის ხევის გადაღმა, დაახლოებით 6 ჰექტარი მიწა შეიძინეს...“ „ადგილი

გაგრძელება მე-2 გვ.

გრაკლიანი გორის დიდი ისტორია

იგოეთში, ტრასასთან ახლოს, გრაკლიანი გორაზე, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგებმა უნიკალური საგაძრო კომპლექსი აღმოაჩინეს. თსუ-ის ექსპედიაცია იგოეთში უკვე მესამე არქეოლოგიურ სეზონს ატარებს. ყოველი სეზონი მათთვის მიგნებებითა და სიურპრიზებითაა სავსე. თუმცა წლევანდელი აღმოჩენა, ექსპედიციის ხელმძღვანელის ვახტანგ ლიჩელის შეფასებით, ნამდვილად გამორჩეულია.

ამჯერად არქეოლოგებმა გრაკლიანი გორის ფერდობზე ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუა ხანების ორ უმნიშვნელოვანეს საგაძრო კომპლექსს მიაკვლიეს. პირველი - მეფე ფარნავაზის პერიოდს განეკუთვნება, მეორე კი ძველი წელთაღრიცხვით მე-5 - მე-7 საუკუნეებისაა. ორივე ტაძარი დიდი ხანძრის შედეგადაა განადგურებული.

გაგრძელება მე-2 გვ.

თსუ-ის სტუდენტები იგოეთში, არქეოლოგიურ გათხრებზე

გამოშვება 2011

პირველი გვერდიდან

მსოფლიოში ტრადიციად ქცეული მანტიები, ქუდები ცაში, საპატიო სტუმრები - წარმატების საკუთარი ისტორიებით; პროფესორები, რომელთან ერთადაც სწავლების 4 წელი განვლეს; მშობლები – უკანა ფონზე; ემოციები, მცხუნვარე მზე და ახალგაზრდული იმედები – ამ ყველაფერმა 30 ივლისს თსუ-ის პირველი კორპუსის ეზოში მოიყარა თავი.

ღონისძიებას თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი ესწრებოდნენ.

თსუ-ის რექტორმა აღიარა, რომ ყოველთვის სურდა სტუდენტებს საქართველოშიც ჰქონოდათ ისეთი გამოშვების დღე, როგორც დასავლეთის ცნობილ და ტრადიციულ უნივერსიტეტებში; სწორედ ამიტომ, კურსდამთავრებულთა ღონისძიების საზეიმო აღნიშვნა ტრადიციული გახდება.

პრემიერს ღონისძიებამ საკუთარ სტუდენტობასა და პროფესიულ წარმატებებზე აღუძრა მოგონებები:

„რამდენიმე წლის წინ ჩემი თავი თქვენს მდგომარეობაში მახსოვს - არც თუ ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. გახარებული ვიყავი, რომ გამოცდების ჩაბარება აღარ მომიწევდა, თან მოწყენილი იმის გამო, რომ მეგობრებს ხშირად ვეღარ ვნახავდი. თან ვღელავდი, თან მეშინოდა, იმიტომ, რომ ზუსტად არ ვიცოდი რა უნდა გამეკეთებინა. ვხედავ, დაახლოებით ისეთივე დღეში ხართ თქვენც.

საქართველოსთვის ძალიან გამორჩეული თაობა ხართ. ერთ-ერთი ის პირველი თაობა, რომელმაც თქვენით გაიკვალეთ გზა – ქრთამისა და ჩაწყობების გარეშე.

რადგანაც თქვენით გაიკვალეთ გზა, თქვენთან დაკავშირებით იმედები უფრო მეტია, მოლოდინი იმისა, რომ უფრო მეტს გააკეთებთ საკუთარი თავისთვის და უფრო მეტს გააკეთებთ საქართველოსთვის. არ იქნება მარტივი, მაგრამ პირველობის საფუძველი ჩადებულია.“ – აღნიშნა ნიკა გილაურმა.

განათლების მინისტრმა კი თსუ-ის სტუდენტებს განუცხადა:

„თქვენ დაამთავრეთ დღეს ყველაზე მაგარი უნივერსიტეტი საქართველოში. რაც მნიშვნელოვანია, თქვენ დანერგეთ ახალი ტრადიცია, რომ როცა თქვენი შვილები მოვლენ ამ მოედანზე, ისინიც ასეთ ფორმებში იქნებიან გამოწყობილნი და ამისთვის დიდი მადლობა თქვენ“.

თსუ 2011 წელს 3000-მდე ბაკალავრმა დაამთავრა.

ღონისძიების ფარგლებში, წარჩინებულ სტუდენტთა სერტიფიკატებით დაჯილდოების ცერემონიაც გაიმართა. ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ, მანტიებში გამოწყობილმა ბაკალავრებმა ქუდების ატყორცნით აღნიშნეს ახალი ცხოვრების დაწყება. ღონისძიების მხარდამჭერები კომპანია „ჯი-პი-აი“ და „ემ ჯგუფი“ გახლდნენ.

გრაკლიანი გორის დიდი ისტორია

პირველი გვერდიდან

არქეოლოგიის სრული პროფესორი ვახტანგ ლიჩელი რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტს გამოყოფს. პირველ რიგში ეს ის არქიტექტურული ნიუანსებია რაც ინტერიერში გამოჩნდა. „მცირე არქიტექტურული ფორმები, რომლებიც კარგადაა დამუშავებული, რამდენიმე სხვადასხვა ტიპის საკურთხეველს ეკუთვნის. ამ საკურთხევლებს ანალოგი არ მოეძებნება თანადროულ არქეოლოგიურ მასალაში. გათხრების პროცესში გაირკვა, რომ ძველი წელთაღრიცხვით მეხუთე საუკუნის ტაძრის აღმოსავლეთ კედელთან გამართული მონუმენტური საკურთხეველი დიდი გემოვნებით გამოირჩევა. ამაზე სხვადასხვა გეომეტრიული ფორმების კომბინაცია, კერძოდ მართკუთხა და წრიული ფორმების ერთ სიბრტყეში გათამაშება მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ შენობა მთლიანად არ არის გათხრილი, აშკარაა, რომ არქიტექტორი, რომლის პროექტის მიხედვითაცაა ინტერიერი და ექსტერიერი შექმნილი, დიდი პროფესიონალია. მას გათვალისწინებული აქვს, როგორც უკვე არსებული ტრადიციები, ასევე ახალი ეპოქის მოტანილი ტენდენციები. ხის კონსტრუქციებითა და ბათქაშით ნაგები ინტერიერი საგულდაგულოდაა შელესილი და ცისფერი საღებავით შეღებილი. ეს ამ პერიოდისათვის სრულიად განსაკუთრებული შემთხვევა გახლავთ “, – ასკვნის ლიჩელი.

თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი და არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, თსუ-ის პროფესორი ვახტანგ ლიჩელი იგოეთში, არქეოლოგიურ გათხრებზე

გრაკლიან გორაზე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთები

გრაკლიან გორაზე აღმონაჩენის მნიშვნელობიდან და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი თსუ-ის არქეოლოგებთან ერთად საკმაოდ საინტერესო იდეის განხორციელებაზე ფიქრობს. ალექსანდრე კვიტაშვილის აზრით, იგოეთთან მიკვლეული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია და კონსერვაცია ამ ადგილის ტურისტულ ზონად გადაქცევის შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა. ამიერკავკასიის ცენტრალურ მაგისტრალთან, ღია ცისქვეშ მდებარე მუზეუმში, სამომავლოდ, ისტორიით დაინტერესებულ მნახველს არა მხოლოდ დათვალიერების, არამედ გათხრებში მონაწილეობის საშუალებაც ექნება. ეს ტურიზმის კარგად ცნობილი და აპრობირებული ფორმაა.

გარდა ნამოსახლარისა, თსუ-ის ექსპედიციის წევრები ძველი წელთაღრიცხვით V-IV საუკუნის სამაროვანსაც სწავლობენ. სამარხებში ნაპოვნი ინვენტარიდან ყურადღებას ბრინჯაოს დეკორირებული აგრაფი (ტანსაცმლის, მოსასახამის შესაკრავი) იქცევს. ლიჩელის თქმით, ეს ნივთი, ცნობილ ქალაქ სუზაში (ირანი) ნაპოვნი აგრაფების ანალოგიურია. გარდა ამისა, აღმოჩენილია ასევე ძველი მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა მასალისგან დამზადებული მძივები და სხვა სამკაულები.

გარდა ამისა, ერთ-ერთ ტაძარში დადასტურდა ხორბლის რიტუალური დაფქვისა და პურის ცხობის ტრადიცია. აღსანიშნავია, რომ ძველ სამყაროში, პურის რიტუალური, ღვთაებებისთვის გამოცხობის უფლება მხოლოდ გამორჩეულ მოგვებს ჰქონდათ. მეტიც, ძველ რომში, პურის რიტუალური მცხობელები საზოგადოების გამორჩეულ კასტას წარმოადგენდნენ.

რთულია პაპანაქება სიცხეში, მზის გულზე მუშაობა ძალზე სასიამოვნოდ გეჩვენოს. მიუხედავად ამისა, იგოეთში გათხრებზე ყოფნა 20-25 სტუდენტს სწორედ ჯილდოდ ერგო. თსუ-ის მეცნიერ-თანამშრომლების გარდა ექსპედიციის შემადგენლობაში წარჩინებული ბაკალავრი და მაგისტრი სტუდენტები შედიან – გენდერული ბალანსის შეძლებისდაგვარად დაცვით და ზოგჯერ გოგონების რაოდენობრივი გადაჭარბებითაც. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ გათხრების ბოლო ეტაპზე ძირითადი სამუშაო იარაღი ყველასთვის ფუნჯი და დანა იყო, ახალგაზრდა არქეოლოგებს დიდი ფიზიკური ძალის გამოყენება არ დასჭირვებიათ. აქცენტი უფრო მეტად გამძლეობაზე იყო.

„ასეთ ექსპედიციებში მონაწილეობა ერთ-ერთი ყველაზე კარგი საშუალებაა, რომ გამძლე არქეოლოგებად გავიზარდოთ. ისეთ ცოდნას და გამოცდილებას, რასაც ჩვენ აქ ვიღებთ, აუდიტორიაში ვერ მიიღებ.“ - განმარტავს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის მიმართულების მაგისტრატურის სტუდენტი დავით ნასყიდაშვილი.

ტრადიციულად, გრაკლიან გორაზე „სამუშაო საათები“ ღია ცისქვეშ დილის რვა საათიდან იწყებოდა და ოთხ საათამდე გრძელდებოდა. საღამოს შვიდ საათმდე ექსპედიციის წევრები თავის მოწესრიგებას და საღილობასაც ასწრებდნენ. საღამო უკვე „კამერული სამუშაოებით“ გრძელდებოდა. მაგალითად: მასალის აღწერით, ტიპოლოგიური სამუშაოებით, ტოპორუკაზე მუშაობით და ა.შ. ექსპედიციის განმავლობაში როგორც წესი კვალიფიციური მეცნიერების მიერ ყოველდღიურად დოკუმენტირების მიზნით კეთდება ჩანაწერები. თუმცა, ექსპედიციის ხელმძღვანელის განმარტებით, გათხრებისას ახალი ნივთის აღმოჩენის დროს ყველა სტუდენტი ცალკე წერს საკუთარ დღიურს. ყოველი დღის ბოლოს, ამა თუ იმ უბანზე მომუშავე არქეოლოგები დღის განმავლობაში ჩატარებულ სამუშაობს და აღმოჩენილ მასალას განიხილავენ.

გრაკლიან გორაზე არქეოლოგიური სეზონი წელს დაიხურა. თუმცა, აღმოჩენის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტელები ზაფხულის განმავლობაში მასთან მიბრუნებას არ გამორიცხავენ.

უნივერსიტეტის ისტორიული შენობის რეაბილიტაცია – დასრულების ეტაპზე

პირველი გვერდიდან

სკოლისათვის, სივრცით 12 დღიური, უკვე ნაყიდია ვერაზე და სახლის აგებისთვის ფული გროვდება. ეს საქმე მთლიანად იკისრა თავის თავზე ბატონმა ცხვედაძემ. იმედი ვიქონიოთ, რომ მთელი ქართველობა თანაგრძნობას და შემწეობას აღმოუჩენს ამ კეთილ და საშვილიშვილო საქმეს“ .

თუმცა, ნიკო ცხვედაძეს მომხრეების გარდა მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა. ზოგს ნაყიდი ტერიტორია შეუფერებლად დიდად მიაჩნდა; ზოგს, ცენტრიდან სიშორის გამო, შერჩეული ადგილის მდებარეობა არ მოსწონდა. „ვერის მელიებისა და ტურებისათვის უყიდია ადგილი და ქართველი ყმაწვილები ვერელ ელიბუა მენახშირე და მეშეშეებისკენ უნდა გარეკოსო,“ – თურმე, ასეც კი ამბობდნენ ცხვედაძის თანამედროვეები.

მომხრეებმა გაიმარჯვეს. გიმნაზიის პროექტის შედგენა და მშენებლობის ხელმძღვანელობა მიანდეს ხუროთმოძღვარ სვიმონ კლდიაშვილს.

მშენებლობა 1900 წელს დაიწყო. გაზეთი „ივერია“: „14 ოქტომბერს, თბილისის სათავადაზნაურო სკოლის გამგე-კომიტეტის მიერ შეძენილ ადგილზე, ამ სკოლის ახალი შენობის საძირკველი ჩაჰყარეს და აკურთხეს.“

წერილის მიხედვით, ცერემონიაში იმ დროის ყველა გამოჩენილი მოღვაწე იღებდა მონაწილეობას: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, სიმონ წერეთელი, ქრისტეფორე მამაცაშვილი და სხვები. საზეიმო პარაკლისი სპეციალურად მოწვეულმა სამღვდელოებამ გადაიხადა. საძირკველი აკურთხა ქაშუეთის ეკლესიის დეკანოზმა, შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, კალისტრატე ცინცაძემ. გალობდა გიმნაზიის გუნდი, თუმცა ზეიმის კულმინაცია იყო მომენტი, როდესაც გიმნაზიის ორმა მსახურმა კალათები მოიტანა, სადაც დაახლოებით 10-12 ლიტრი საუკეთესო ღვინო იდო. ის საძირკველში ამოთხრილ სპეციალურ სათავსოში ჩაალაგეს. საძირკველში ჩალაგებულ რამდენიმე აგურზე ერთ მხარეს ამოტვიფრული ყოფილა „ქართული გიმნაზია“, მეორეზე კი „ქართული უნივერსიტეტი“.

უნივერსიტეტის მშენებლობა 15 წელს გაგრძელდა.

1918 წელს 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს), დავით აღმაშენებელის ხსენების დღეს, გიმნაზიის შენობაში გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი, რომელსაც თავდაპირველად მხოლოდ სამი ოთახი ეკუთვნოდა. მესამე სართულის მთელი მარჯვენა მხარე ეკავა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფო საზოგადოებას; აქვე იყო განთავსებული თბილისის ქალთა ქართული გიმნაზია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი; ხოლო 1915 წლიდან 1918 წლამდე - სამხედრო ლაზარეთი, რომელშიც 1915 წელს გარდაიცვალა ვაჟა-ფშაველა.

1920 წლიდან მთელი შენობა უნივერსიტეტს დაეთმო.

ქართველი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ თსუ-ის პირველი კორპუსი დღესაც ძალზე საინტერესო არქიტექტურულ ძეგლად რჩება. უნივერსიტეტის ამ შენობამ ძველი თბილისი ახლისგან გამიჯნა და ახალი ისტორიულ-კულტურული ეპოქის დასაწყისს ჩაუყარა საფუძველი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპლექსის კაპიტალური სარეაბილიტაციო რემონტი ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით 2008 წელს დაიწყო. თსუ ბიბლიოთეკის დირექტორისა და უნივერსიტეტზე შექმნილი წიგნის ავტორის ზურაბ გაიპარაშვილის თქმით: „მანამდე, საუკუნეზე მეტი ხნის შენობას სერიოზული რემონტი არ ღირსებია. ამდენად, ბიძინა ივანიშვილი, მართლაც შეიძლება ისეთი მეცენატების გვერდით მოიხსენიო, როგორიც მაგალითად ძმები ზუბალაშვილები და დავით სარჯიშვილი იყვნენ“.

რეაბილიტაციის პროცესში არქიტექტურული დაგეგმარების თვალსაზრისით უნივერსიტეტის პირველ კორპუსში ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა. უცვლელად არის შენარჩუნებული შენობის გარე ფასადის პირვანდელი სახე; გამაგრდა საძირკველი, გარემონტდა ყველა სახის საკომუნიკაციო საშუალება, დაიგო იატაკი, გაილესა კედლები; პირვანდელი სახე დაუბრუნდა უნივერისტეტის შენობის გუმბათის ქვეშ არსებულ სივრცეს. რეაბილიტირებული შენობის გახსნა 2011 წლის შემოდგომისთვის არის დაგეგმილი.

აბიტურიენტთა და მაგისტრანტობის მსურველთათვის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება, რომელიც წლების წინ შეიქმნა, მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს საინტერესო მომსახურებას სთავაზობს: თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები სკოლის მოსწავლეებს საატესტატო გამოცდების ჩაბარებისთვის მოამზადებენ, აბიტურიენტებს – ეროვნული, ხოლო ბაკალავრებს – მაგისტრატურის გამოცდებისთვის. მაგისტრატურის მსურველებისთვის მეცადინეობა შარშან დაიწყო, ხოლო საატესტატო გამოცდებისთვის მომზადება მოსწავლეებისთვის სრული სიახლეა და სექტემბრიდან დაიწყება. გამოცდილება ცხადჰყოფს, რომ თსუ-ში მიღებული განათლება მომავალი უდაო წარმატების წინაპირობა გახლავთ.

აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი (დღეს უკვე სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის განყოფილება) უნივერსიტეტში 1995 წლიდან ფუნქციონირებს. 2010 წელს აქ მომზადდა 88 მოსწავლე. აქედან 81 აბიტურიენტი სხვადასხვა უნივერსიტეტში ჩაირიცხა, 7 კი – თავად თსუ-ის სტუდენტი გახდა. წელს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადება თსუ-ში 84-მა აბიტურიენტმა გაიარა.

თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი, მეცნიერებათა დოქტორი დალი კანდელაკი ამბობს, რომ თსუ-ში მოსწავლეებს სწავლების ხარისხისა და ღირებულების საუკეთესო შესაბამისობას სთავაზობს.

წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების სასწავლო კურსი 20 სექტემბრიდან დაიწყება და 2012 წლის 20 ივნისამდე გაგრძელდება. აბიტურიენტებს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ცხრა საგანში, მათ შორის, ზოგად უნარებში მოამზადებენ. თითოეული საგნის ღირებულება 700 ლარია. ორი საგნის არჩევის შემთხვევაში აბიტურიენტებს თანხის ეტაპობრივად გადახდის უფლება მიეცემათ; სამ საგანში მომზადებისას, 5 პროცენტიან ფასდაკლებას მიიღებენ; ოთხივე საგანში მომზადებისას კი – 10 პროცენტიანს (თანხის სრული რაოდენობიდან). ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი თსუ-ის სტუდენტი გახდება, მას გადახდილი თანხის კიდევ 10 პროცენტი უკან დაუბრუნდება.

მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის მოსამზადებელი კურსი, როგორც აღვნიშნეთ, თსუ-ში 2011 დაინერგა. სამთვიანი სწავლება 30-მა ბაკალავრმა გაიარა. საგამოცდო საგანში მეცადინეობა კვირაში 5 საათს გრძელდება და 3 თვიანი კურსის ღირებულება ჯამში 600 ლარია.

მომავალი სასწავლო წლიდან უნივერსიტეტის მთავარი სიახლე მოსწავლეთა საატესტატო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსის დაწყება იქნება.

„საჭიროდ ჩავთვალეთ ჩვენი წვლილი შეგვეტანა მოსწავლეების მომზადებაშიც და დავხმარებოდით მათ, არა მარტო ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებაში, არამედ საატესტაციო გამოცდების მომზადებაშიც," – ამბობს იდეის ერთ-ერთი ავტორი, თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი.

თსუ-ში მოსწავლეების საატესტატო გამოცდებისთვის მომზადებაც მიმდინარე წლის 20 სექტემბრიდან დაიწყება და სწავლა 2012 წლის 20 მაისს დასრულდება. თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები მოსწავლეებს 8 საგანში მოამზადებენ, ესენია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (გერმანული, ინგლისური, ფრანგული, რუსული), ისტორია, მათემატიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა. თითოეულ საგანს კვირაში 4 საათი დაეთმობა და სრული კურსის ღირებულება 400 ლარი იქნება, თუმცა, ერთზე მეტი საგნის არჩევის შემთხვევაში, მოსწავლეებს საფასურთან დაკავშირებით შეღავათებით სარგებლობაც შეეძლებათ, კერძოდ: 2 ან მეტი საგნის არჩევის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება თანხის ეტაპობრივი გადახდა; ამასთან, 4 საგნის არჩევის შემთხვევაში მოსწავლეს 1500 ლარის გადახდა მოუწევს; 8 საგნის არჩევის შემთხვევაში მოსწავლე ჯამში 3000 ლარს გადაიხდის.

როგორც დალი კანდელაკი აღნიშნავს, საატესტატო გამოცდებისთვის მომზადება შეეძლებათ როგორც მეთორმეტე, ასევე მეთერთმეტეკლასელებს. ანუ, სურვილის შემთხვევაში, მათ საშუალება ექნებათ ორი წელი ისწავლონ.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ კურსებზე სიარული, ლექციები სკოლებში გაკვეთილების (15.00 საათის) შემდეგ დაიწყება. მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე, სწავლება რამდენიმე მისამართზე ჩატარდება: ვაჟა-ფშაველას გამზირი 42/44 (ყოფილი სესსუ-ს შენობა) და ქეთევან წამებულის №53-ში (ყოფილი თეუსუ-ის შენობა).

თსუ საატესტატო გამოცდებისთვის მომზადებას რუსთაველ და ქუთაისელ მოსწავლეებსაც სთავაზობს: რუსთავში – ტაშკენტის ქ. №6-ში განთავსებულ უნივერსიტეტის შენობაში (ყოფილი თეუსუ-ს შენობა, ხოლო ქუთაისში ნიკეის მეორე შესახვევი, ნომერ 8-ში, ასევე ყოფილი თეუსუ-ს კორპუსში). მოსწავლეები ცოდნის დონის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფებში გადანაწილდებიან.

თსუ-ის ვებ-გვერდზე სპეციალური პორტალიც შეიქმნა, სადაც მოსწავლეებს დარეგისტრირება ინტერნეტის საშუალებითაც შეუძლიათ.

„თბილისში პედაგოგები უკვე შერჩეულები არიან. პროფესორ-მასწავლებლების მოზიდვის მიზნით, დეპარტამენტმა თსუ-ის საიტზე განათავსა ინფორმაცია, რასაც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ძალიან აქტიურად გამოეხმაურა. მათ მოვთხოვეთ წარმოედგინათ სილაბუსი, ანუ სასწავლო კურსის გეგმა, თუ როგორ დაგეგმავდნენ სწავლებას. შემდეგ გავესაუბრეთ და ამ გზით შევარჩიეთ პედაგოგები. მათ შორის არიან როგორც ძველი, გამოცდილი პედაგოგები, ისე ახლები. თბილისისგან განსხვავებით, რუსთავსა და ქუთაისში სკოლის დირექტორებს შევთავაზეთ, რომ მათი სკოლის პედაგოგები გაუძღვნენ მეცადინეობას. გარდა იმისა, რომ მათ ექნებათ დამატებითი ანაზღაურება, ისინი ხელშეკრულებას აფორმებენ თსუ-სთან, რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლები ხდებიან. ეს მათთვის გარკვეული წახალისებაა," - ამბობს დალი კანდელაკი.

სასწავლო კურსებზე რეგისტრაცია უკვე დაწყებულია. დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge ან დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 2 47 53 82; 2 29 09 60.

„უწყვეტი განათლება" – თსუ-ისგან

გაგრძელება მე-4 გვ.

თანამედროვე მსოფლიოს მოთხოვნები და შრომით ბაზარზე ორიენტირებულობის აუცილებლობა განათლების სისტემას ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს: ადამიანს ნებისმიერ ასაკში, მისთვის ხელსაყრელ დროს, მარტივად უნდა შეეძლოს მისთვის საჭირო კვალიფიკაციის ან გადამზადების მიღება. ამას მსოფლიოში „უწყვეტ განათლებას" უწოდებენ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე მეორე წელია საქართველოს საზოგადოებასა და თავად უნივერსიტეტის თანამშრომლებსაც „უწყვეტი განათლების" მიღების საშუალებას აძლევს.

თსუ-ში 2009 წელს შეიქმნა აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი. ცენტრის ხელმძღვანელის ქეთევან ცინცაძის განცხადებით: „ბოლონიის პროცესის თანახმად (ევროპის ქვეყნების განათლების სისტემების დაახლობისა და ჰარმონიზაციის პროცესი) უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვა ყველა უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გახდეს. სწორედ ამიტომ შეიქმნა თსუ-ში ცენტრი, რომლის მისიაა, ფართო საზოგადოებას მისცეს საშუალება გამოიყენოს უნივერსიტეტის რესურსები და გამოცდილება პროფესიული და პიროვნული განვითარებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ახალი პროფესიული უნარების შეძენისათვის„

სასერტიფიკატო პროგრამები ორ სამიზნე აუდიტორიაზეა გათვლილი: შიდა საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლება მიზნად ისახავს თსუ-ის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ღონისძიებების ორგანიზებას. უწყვეტი განათლება ფართო საზოგადოებისათვის კი ფართო სპექტრს მოიცავს და მსურველებს სთავაზობს გარკვეული დარგობრივი და ზოგადი უნარების განმავითარებელ მოკლე

ალპინიადის სათავეებთან

უკვე 88 წელია თსუ-ის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები საქართველოს და მსოფლიოს მწვერვალებს იპყრობენ – ამ სიტყვების ყველაზე პირდაპირი მნიშვნელობით: 1923 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ალპინისტთა სექცია დაარსდა. პირველი ასვლაც მყინვარწვერზე 1923 წელს მოეწყო. ამ ექსპედიციას გიორგი ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა. 1936 წლიდან კი თსუ უკვე სტუდენტური ალპინიადის ორგანიზებას ჩაუდგა სათავეში. მალე თსუ-ში მორიგი - საშემოდგომო ალპინიადაა დაგეგმილი.

2001 წლიდან დღემდე თსუ-ში ალპინიადას შოთა მირიანაშვილი ხელმძღვანელობს. ბატონი შოთა პროფესიით ფიზიკოსია, უკვე თითქმის 6 ათეულ წელზე მეტია მისი ცხოვრება თსუ-სთან არის დაკავშირებული. დღესაც სტუდენტებს სამეცნიეროს გარდა, საქართველოს მწვერვალების დაპყრობაშიც ეხმარება.

როგორც თავად ამბობს, თავისი მოღვაწეობის მანძილზე მას 15 000 სტუდენტი ჰყავს სხვადასხვა მწვერვალზე აყვანილი და ეს ჯერ კიდევ არ არის დასასრული. 80 წელს გადაცილებული პროფესორი, ახალგაზრდული ენერგიით და ენთუზიაზმით, სამომავლო გეგმებზე საუბრობს.

თსუ-ში ტრადიციული სტუდენტური ალპინიადა წელიწადში ორჯერ იმართება – გაფხულში და შემოდგომაზე. ბატონი შოთას თქმით, ალპინიადაში მონაწილეობის მსურველი ძალიან ბევრია. განსაკუთრებულ ყურადღებას პირველკურსელები იჩენენ. ჯგუფები მინიმუმ 300 კაციანია.

მასობრივი ალპინიადები, რომლებშიც უამრავი სტუდენტი მონაწილეობს, საქართველოს თითქმის ყველა მაღალმთიან რეგიონში ეწყობა, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა მიერ საკუთარი ქვეყნის უკეთ გაცნობას და ამ ალპინიადის მიზანიც პირველ რიგში ეს არის.

1989 წლიდან თსუ-ის ალპინისტური სექცია – „თსუ გ. ნიკოლაძის სახელობის ალპინისტური კლუბი" არის ქართველ მთამსვლელთა კადრების მომზადების უმთავრესი კერა საქართველოში.

სწორედ ალპინისტთა სექციის დამფუძნებელი და ერთ–ერთი თავმჯდომარე გიორგი ნიკოლაძე წერდა: „ჩვენს ჯგუფს მიზნად აქვს საქართველოს ყველა მხარის გაცნობა. უკვე ხუთი წელიწადია, რაც ამ მიზანს თანდათან ვატარებთ ცხოვრებაში."

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ეს მიზანი და ტრადიციაც შეინარჩუნა. განსაკუთრებით უფრთხილდებიან სტუდენტური ალპინიადის ისტორიასაც, რომელთანაც ბევრი გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა თუ საზოგადო მოღვაწის სახელია დაკავშირებული. შოთა მირიანაშვილი ამაყობს იმით, რომ ქართველ ალპინისტთა 75% თსუ-ის აღზრდილია. საგულდაგულოდ ინახავს უნიკალურ ფოტოებს, რომელზეც თსუ-ის და ზოგადად ქართველი ალპინიადს უნიკალური კადრებია შემონახული. აქ, გამოჩენილ მთამსვლელთა მთელი პლეადა აღიზარდა: სიმონ ჯაფარიძე, ოთარ გიგინეიშვილი, სარგის ცაიშვილი, რევაზ ხაზარაძე, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, შოთა მირიანაშვილი, ომარ ბერაძე, ვანო გულედანი, გია თორთლაძე და სხვა. მათი უმრავლესობა, გარდა წარმატებული მთამსვლელობისა, აქტიურ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა და ღღესაც ეწევა.

თსუ-ის სტუდენტთა და პროფესორ–მასწავლებელთა მასობრივმა ასვლებმა კავკასიონის მწვერვალებზე განსაკუთრებით ფართო ხასიათი ნიკო კეცხოველის რექტორობის დროს შეიძინა. სხვადასხვა დროს ალპინისტურ სექციას ხელმძღვანელობდნენ გიორგი ნიკოლაძე, ნიკო კეცხოველი, ოთარ გიგინეიშვილი, ლევან მარუაშვილი, დავით წერეთელი, სარგის ცაიშვილი, თორნიკე ტატიშვილი და სხვა.

სტუდენტები დაპყრობილ მწვერვალებს გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების, მწერლებისა და პოეტების სახელებს არქმევდნენ. სწორედ ასე დაარქვეს ვაჟა–ფშაველას სახელი თსუ-ის სტუდენტებმა 1959 წელს ტიან-შანზე ერთ–ერთ მწვერვალს. უნივერსიტეტის ალპინისტური სექციის პირველ ექსპედიციას საზღვრებს მიღმა ალექსი ივანიშვილი ხელმძღვანელობდა. ექპედიციის შემადგენლობაში იყვნენ ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ლევან და ზურაბ ახვლედიანები, გიორგი აბაშიძე, დიმიტრი დანგაძე, შოთა მირიანაშვილი, სულიკო ხაბეიშვილი, რევაზ და რევაზ ხაზარაძეები და სხვა. მათ აირჩიეს ისეთი მარშრუტი, რომელიც მანამდე გავლილ ყველა მარშრუტს სჯობდა. ქართველ ალპინისტთა ჯგუფმა მიაკვლია მწვერვალს, რომელსაც სახელად „ვაჟა–ფშაველა" უწოდეს.

2011 შემოდგომაზე თსუ-ის სტუდენტებს კავკასიის მწვერვალების დაპყრობისა და დიდი ტრადიციის გაგრძელების კიდევ ერთი შესაძლებლობა მიეცემათ – ბატონი შოთას მირიანაშვილის ორგანიზებითა და წინამძღოლობით.

თსუ-ის პირველი ექსპედიცია ტიან-შანზე

ალპინიადა დღეს

„უწყვეტი განათლება“ – თსუ-ისგან

მესამე გვერდიდან

და გრძელვადიან კურსებს, ტრენინგებს, პროგრამებს.

თსუ-ის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა 2011 წლის გაზაფხულზე უკვე განახორციელა შემდეგი სასერტიფიკატო კურსები:

• ფინანსური პროგრამირება და პოლიტიკა,

• კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows-ის გამოყენებით მონაცემების დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის გაღრმავებული კურსი,

• წერითი და ზეპირი პრეზენტაციის უნარები (რომელიც ძირითადად სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში მომუშავე პირებისთვისაა განკუთვნილი).

სექტემბრიდან ცენტრი გეგმავს საზოგადოებას და დაინტერესებულ ორგანიზაციებს სხვა ახალი კურსებიც შესთავაზოს. ზოგი უკვე მზადაა, ზოგიც დამუშავების პროცესშია, კერძოდ:

• სამგანზომილებიანი (3D) კომპიუტერული გრაფიკა – მოდელირებისა და რენდერინგის საფუძვლები;

• კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows-ის გამოყენებით მონაცემების დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის კურსი დამწყებთათვის;

• კომპიუტერული პროგრამის STATA-ს გამოყენებით მონაცემების დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის კურსი დამწყებთათვის;

• კომპიუტერული პროგრამის STATA-ს გამოყენებით მონაცემების დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის გაღრმავებული კურსი;

• კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows-ის გამოყენებით მონაცემების დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის გაღრმავებული კურსი;

• CISCO ქსელის სპეციალისტის მოსამზადებელი კურსი;

• საერთაშორისო ვაჭრობა;

• ხმის რეჟისურა (აუდიო საინჟინრო);

• ოფიციალური ურთიერთობები და ეტიკეტი (პროტოკოლი);

• საგანგებო სიტუაციები;

• კეთილდღეობის ფსიქოლოგია,

როგორც ქეთევან ცინცაძე ამბობს, ყველა კურსი დამტკიცების პროცედურას გადის, რათა თითოეულმა მათგანმა საუნივერსიტეტო ხარისხი დაიკმაყოფილოს. კურსდამთავრებულები თსუ-ის სპეციალურ სერტიფიკატებს მიღებენ.

წელს მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ თსუ სასერტიფიკატო კურსებს არა მხოლოდ თბილისში, არამედ – ქუთაისშიც, თსუ-ის ფილიალში ჩაატარებს. კურსებს თსუ-ის და მოწვეული ლექტორები გაუძღვებიან.

თსუ-ის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთანაც. მაგალითად მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM). მასთან თანამშრომლობით ამ გაზაფხულს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების ორ ჯგუფს უკვე ჩაუტარდა ტრენინგი „სამუშაოს ძიებისა და თვითპრეზენტაციის უნარების განვითარებისათვის“. ტრენინგის ფარგლებში სტუდენტები შეხვდნენ პოტენციურ დამსაქმებლებსაც. აღნიშნული ტრენინგი განახლდება ახალი სემესტრის დაწყებისთანავე და მასში მონაწილეობის მიღების საშუალება სხვა ფაკულტეტების სტუდენტებსაც ექნებათ. სექტემბრიდან ცენტრი სასერტიფიკატო კურსების კურსდამთავრებულებს, სავარაუდოდ, სხვადასხვა ორგანიზაციაში სტაჟირებასაც შესთავაზებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ცენტრს შემდეგ მისამართზე: ილია ჭავჭავაძის გამზ. 3, 0179 თბილისი, საქართველო, თსუ II კორპუსი, ოთახი 320; ტელ: 2 22 36 52; ელ.ფოსტა: tsuLLL@tsu.ge ან იხილოთ ვებ-გვერდი: http://www.tsu.edu.ge/ge/departmets/lll/news/

სტუდენტი-პროფესორი ამერიკიდან

გახსოვთ, რა აკავშირებს ვახტანგ გორგასალს უჯარმის ციხესთან? იცით, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრ არიელ შარონის მშობლები საქართველოში შეხვდნენ ერთმანეთს და მისი წინაპრები აქ არიან დაკრძალული? თუ არა, ეს და კიდევ სხვა ბევრი საინტერესო რამ საქართველოს შესახებ ამერიკელი როლანდ სკოტ მანგუმისგან შეგიძლიათ გაიგოთ.

ბავშვობაში საფოსტო მარკების შეგროვებით იყო გატაცებული. სწორედ მაშინ, უცნაური მარკის წყალობით გაარკვია, რომ არსებობდა ასეთი ქვეყანა – საქართველო. ამის შემდეგ საქართველოზე ბევრი არაფერი გაუგია. 2005 წელს კი ამერიკული დახმარების პროგრამის ფარგლებში აქ თავდაცვის სამინისტროში მრჩევლად ჩამოვიდა. 5 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობას იგივე საკითხებზე აძლევდა რეკომენდაციებს, რაზეც თავის სამშობლოში მაგისტრანტებს უკითხავდა ლექციებს: ეროვნული უსაფრთხოება, კვლევის მენეჯმენტი, მონაცემთა შეკრება, ტრეინინგების დაგეგმვა. ნატოს კვირეულის ფარგლებში მანგუმმა ნატოს თემაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში რამდენიმე ლექციაც წაიკითხა. თუმცა, თსუ-სთან მას სხვა რამეც აკავშირებს: დღეს 66 წლის პროფესორი როლანდ მანგუმი თავად არის თსუ-ის „სტუდენტი“. უფრო ზუსტად – მანგუმი თსუ-ის დოქტორანტურაში სწავლობს. პარალელურად კი თსუ-ის სტუდენტებსაც ასწავლის.

„ჯერ კიდევ კვლევას ვაკეთებ, ასე რომ ჩემი სადოქტორო შრომის ზუსტ სახელს ვერ გეტყვით. იგი საქართველოს ისტორიაზეა, უსაფრთხოების საბჭოს მუშაობაზე 1990-იან წლებში. სხვა რომელიმე უსაფრთხოების საბჭოსთან, მაგალითად – აშშ–ის უშიშროების საბჭოსთან შედარებითი ანალიზი მექნება. ვფიქრობ, თითქმის ყველა ადამიანს შევხვდი, ვინც ამ პერიოდიდან მოყოლებული საბჭოში მუშაობდა.“ – ამბობს როლანდ მანგუმი.

ცნობისათვის, მისი პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი ალექსანდრე რონდელია, რომელიც ამავე დროს მისი მეგობარიც გახდა.

როლანდ მანგუმის თქმით, მას თსუ-ის სტუდენტებთან ურთიერთობაც ძალზე ბევრს აძლევს: სტუდენტები საკმაოდ მწვავე კითხვებს უსვამენ, რაც აიძულებს უფრო მეტი იცოდეს კონკრეტულ საკითხზე. ყველაზე ხშირად ქართველი სტუდენტები ინტერესდებიან, რატომ უნდა შევიდეს საქართველო ნატოში? პროფესორი ამბობს, რომ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მსოფლიოში არსებული სიტუაციაც უნდა იცოდე და საქართველოს ისტორიაც.

მაინც რატომ გადაწყვიტა ამერიკელმა პროფესორმა ხარისხი თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტში დაეცვა?

„იურისტ-დოქტორის ხარისხი მაქვს, ვარ სრული პროფესორი ეროვნული უსაფრთხოების სწავლების საკითხში. ამ საკითხზე 6 წლის განმავლობაში ამერიკულ სამხედრო უნივერსიტეტში, (რომელიც ონლაინ უნივერსიტეტია), ვკითხულობ ლექციებს. ყოველთვის მინდოდა აკადემიური ხარისხი მქონოდა, მაგალითად – ფილოსოფიის დოქტორის. საქართველოში ჩამოვედი და გავარკვიე, რომ ძალზე ბევრმა ადამიანმა, ვისაც ვიცნობდი, თსუ დაამთავრა. მეც ხარისხის დაცვა აქ გადავწყვიტე“ – განმარტავს როლანდ მანგუმი.

კიდევ ერთი, რისი სწავლაც მანგუმმა საქართველოში მოახერხა, თამადობაა. მართალია, ამისათვის სტუდენტი–პროფესორი ჯერ კიდევ „შპარგალკას“ იყენებს, მაგრამ ამას არავინ უშლის. ინგლისური ასოებით ქართული სადღეგრძელოები პატარა ქაღალდზე მას შემდეგ ჩამოწერა, რაც ქართულ სუფრაზე თამადობა რამდენიმეჯერ მოუხდა.

სულ ცოტა ხანში მანგუმს საქართველოდან წასვლა უწევს – სომხეთში სამუშაოდ. საქართველოს დატოვება უჭირს. როგორც ამბობს, იმიტომ, რომ: საქართველოში ბარიც მოარა და მთაც, ადგილი არ ყოფილა, არ მოსწონებოდა; ქართველები ძალზე მეგობრული ხალხია და თავს აქ ძალზე დაცულად გრძნობს; კიდევ – 5 წლის განმავლობაში თავად იყო საქართველოს უკეთესობისკენ შეცვლის მომსწრე და შეუყვარდა თბილისი, რომელიც ახლა უკვე ევროპული ქალაქია.

„მისია 2011“ დასრულებულია

კომპანია „ბორჯომის“ 2012 წლის კომუნიკაციის სტრატეგიის ავტორები თსუ-ის სტუდენტები იქნებიან. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამი სტუდენტი – ანა ჭიღვარია, ნანა მაჭარაძე და მიხეილ გაბელია კონკურსის „მისია 2011“ გამარჯვებულები გახდნენ.

კონკურსი 2011 წლის გაზაფხულზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ ინიციატივით გაიმართა. მისი მთავარი მიზანი, ერთის მხრივ კომპანია „ბორჯომისთვის“ ახალგაზრდული იდეების მიწოდება, მეორეს მხრივ კი – თსუ-ის სტუდენტების „საქმეში გამოცდა“ იყო.

კონკურსში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50-მდე სტუდენტურმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა.

მკაცრ, მაგრამ ობიექტურ ჟიურის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი და კომპანია „IDS ბორჯომი საქართველო“-ს გენერალური დირექტორი ზაზა კიკვაძე ხელმძღვანელობდნენ.

„თეორიის პრაქტიკაში გამოყენება ყოველთვის საინტერესო შედეგს იძლევა. ეს საპილოტე პროექტი იყო. მომავალი წლიდან კი კონკურსის მასშტაბი გაფართოვდება და მასში მონაწილეობას თსუ-ის გარდა სხვა უნივერსიტეტებიც მიიღებენ“ – განაცხადა „IDS ბორჯომი საქართველო“-ს გენერალურმა დირექტორმა ზაზა კიკვაძემ.

„სწავლის პროცესში სტუდენტებისთვის ძალიან ხელსაყრელია მსგავს პროექტებში მონაწილეობა. ეს მათ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას აძლევს“ – ასე აფასებს კონკურსის იდეასა და მიზანს თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი.

სწორედ ჟიურის გადაწყვეტილებით, პირველ ტურში 7 ფინალისტი გუნდი გამოვლინდა, რომლებმაც საუკეთესოს ტიტულისათვის ბრძოლა გააგრძელეს.

კონკურსის საბოლო გამარჯვებულად კი, მეორე ტურის შედეგების მიხედვით, „3D” დასახელდა – გუნდი, რომელმაც პირველ ტურში კომპანია „ბორჯომს“ პროდუქციის რეკლამისთვის თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ პოპულარული „ფლეშ-მობის“ აერპორტში გამართვის იდეა შესთავაზა. მეორე და მესამე ადგილი, შესაბამისად, გუნდებმ „ფორტიუსი“ და „სტრატეგია“ გადანაწილდა.

ფინალისტებმა კომპანია „ბორჯომის“ კომუნიკაციური სტრატეგია 2012 წარმოადგინეს. გამარჯვებულ გუნდებს კომპანიის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდო, ხოლო ყველა ფინალისტს სერტიფიკატები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

10 ქვეყნის „ერთა ხმა“ საქართველოში

აგვისტოში საქართველოს 3 ქალაქში მსოფლიოს 10 ქვეყნის „ერთა ხმა“ ისმოდა. ხელოვნებისა და ფოლკლორის საერთაშორისო სტუდენტური ფესტივალი ასეთი სახელწოდებით თსუ-ის ორგანიზებით გაიმართა. 28 ივლისიდან 3 აგვისტომდე საქართველოს სამ ქალაქში – ბათუმში, ზუგდიდსა და ქუთაისში საკუთარი ერისა და კულტურის წარმოჩენას ქართული და უცხოური ახალგაზრდული ფოლკლორული ჯგუფების 300-მდე წარმომადგენელი ცდილობდა.

სტუდენტური ფოლკლორული ფესტივალი თსუ-ის ორგანიზებით უკვე მესამე წელია იმართება. თუმცა, 2011 წელი განსაკუთრებული გახლდათ – წელს უნივერსიტეტთაშორისი ფესტივალი საქართველოს ფარგლებს გასცდა და საერთაშორისო მასშტაბი შეიძინა.

„წელს პროექტი გაფართოვდა, წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნები, დაწყებული კორეიდან, დამთავრებული იტალიით. ვფიქრობ ძალიან მრავალფეროვანი და საინტერესო გამოვიდა, ახალგაზრდები უნდა გაეცნონ მსოფლიო კულტურას“, – განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა ფესტივალის იდეის კომენტირებისას.

მსოფლიოს და ერთმანეთის კულტურის გაცნობის საშუალება ფესტივალის 300 მონაწილეს და მათ ათასობით მსმენელს წელს მართლაც ჰქონდათ: 2011 წლის აგვისტოში საქართველომ, ფესტივალის ფარგლებში, ბელორუსიის, მაკედონიის, კვიპროსის, სომხეთის, თურქეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, სამხრეთ კორეის და იტალიის ახალგაზრდულ ანსამბლებს უმასპინძლა.

ფესტივალის მონაწილეები ანაკლიის ბანაკშიც იმყოფებოდნენ და ქართველ ახალგაზრდებთან ერთადაც დაისვენეს.

თსუ-ის მიერ ინიცირებული სტუდენტური ფესტივალი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით და ფოლკლორის საერთაშორისო ფედერაციის ხელშეწყობით განხორციელდა. ხელშემწყობები შედეგით კმაყოფილნი გახლდნენ:

„ვფიქრობ ეს არის უნიკალური შესაძლებლობა ქართველები გაეცნონ უცხოურ ფოლკლორს და ასევე უცხოელები გაეცნონ ქართულ ტურისტულ პოტენციალს, შეიტყონ უფრო მეტი საქართველოს რეგიონებისა და იქ მიმდინარე ახალგაზრდული ცხოვრების შესახებ“, – აღნიშნა ფესტივალის შესახებ საუბრისას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი მეგრელიშვილმა.

სწორედ შედეგებიდან გამომდინარე, თსუ და ახალგაზრდული ფესტივალის მხარდამჭერები ფესტივალ „ერთა ხმის“ ტრადიციად დამკვიდრებას აპირებენ. რათა სხვადასხვა ერების ახალგაზრდებმა ერთმანეთს საკუთარი ფოლკლორი გაუზიარონ და „ხმა“გააგონონ და ერთმანეთის კულტურისა თუ სათქმელის უკეთ გაგებაც შეძლონ.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge